

მე - 9 ჟამნი

მღვდელი: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...

მედავითნე: ამინ.

დასაწყისი ლოცვები

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-გზის).

დიდება, აწ და. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვიღებინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიინდევ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალენ (3-გზის)

დიდება. აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვთარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ ღღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

მღვდელი: რამეთუ შენი არს სუფევა...

მედავითნე - ამინ.

უფალო შეგვიწყალენ (12 გზის).

დიდება. აწ და.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა, ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა.

ფს.83

ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო! 2. ჰსურის და მოაკლდების სულსა ჩემსა ეზოთა მიმართ უფლისათა. გული ჩემი და ხორცი ჩემნი იხარებდეს ღმრთისა მიმართ ცხოველისა. 3. და რამეთუ სირმანცა ჰპოვა თავისა თვისისა სახლი და გურიტმან _ ბუდე თვისი, სადა დაისხნეს მართუენი თვისნი; საკურთხეველი შენი, უფალო ძალთაო, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო. 4. ნეტარ არიან, რომელნი დამვიდრებულ არიან სახლსა შენსა, უკუნითი უკუნისამდე გაქებდენ შენ. 5. ნეტარ არს კაცი, რომლისა შეწევნაი მისი შენგან არს; აღსლვაი გულსა თვისსა დაიდვა. 6. ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, და რამეთუ კურთხევაი მოსცეს, რომელმანცა ჰსჯული დასდვა. 7. ვიდოდან იგინი ძალითი ძალად, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთაი სიონს. 8. უფალო ღმერთო ძალთაო, ისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურად-იღე, ღმერთო იაკობისაო. 9. მწეო ჩუენო, იხილე, ღმერთო, და მოხედენ პირსა ცხებულისა შენისასა. 10. რამეთუ შჯობს დღე ერთი ეზოთა შინა შენთა უფროის ათასთა მათ; ვირჩიე მე მივრდომაი სახლსა ღმრთისა ჩემისასა, უფროის ვიდრეა რა დამკვიდრებად ჩემდა საყოფელსა ცოდვილთასა. 11. რამეთუ წყალობაი და ჭემმარიტებაი უყუარს უფალსა, მაღლი და დიდებაი მოსცეს ღმერთმან; უფალმან არა მოაკლოს კეთილი, რომელნი ვლენან უბიწოდ. 12. უფალო ღმერთო ძალთაო, ნეტარ არს კაცი, რომელი გესავს შენ.

ფს. 84

გთნდა, უფალო, ქუეყანაი შენი, მოაქციე ტყუ იაკობისი. 2. მიუტევენ უჰსჯულოებანი ერსა შენსა, დაფარენ ყოველნი ცოდვანი მათნი. 3. დააცხრვე ყოველი გულის წყრომაი შენი, მოაქციე რისხვისაგან გულის წყრომისა შენისა. 4. მომაქციენ ჩუენ, ღმერთო მაცხოვარო ჩუენო, და გარე-წარაქციე რისხვაი შენი ჩუენგან. 5. ნუ უკუნისამდე მრისხავ ჩუენ, ნუცა განაგრძობ რისხვასა შენსა თესლითი თესლადმდე. 6. ღმერთო, შენ მომაქცინე და მაცხოვნე ჩუენ, და ერი შენი იხარებდეს შენდამი. 7. მიჩუენე ჩუენ, უფალო, წყალობაი შენი და მაცხოვარებაი შენი მომეც ჩუენ. 8. ვისმინო მე, რასაცა მეტყოდის უფალი ღმერთი ჩემი რამეთუ იტყოდის იგი მშვიდობასა ერისა თვისისა ზედა და წმიდათა მისთა ზედა და მათ ზედაცა, რომელთა მოუქცევნიან გულნი მისა მიმართ. 9. რამეთუ ახს მოშიშთა მისთა მაცხოვარებაი მისი დამკვიდრებად დიდებაი მისი ქუეყანასა ჩუენსა. 10. წყალობაი და ჭემმარიტებაი შეიმთხვინეს, სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს-უყვეს. 11. ჭემმარიტებაი ქუეყანით აღმოსცენდა და სიმართლე ზეცით გამოჩნდა. 12. და რამეთუ უფალმან მოსცეს სიტკბოებაი, და ქუეყანამან ჩუენმან გამოსცეს ნაყოფი თვისი. 13. სიმართლე მის წინაშე ვიდოდის, და დადვას გზად სლვაი თვისი.

ფს.85

მოყავ, უფალო, ყური შენი და ისმინე ჩემი, რამეთუ გლახაკ და დავრდომილ ვარი მე. 2. იცევ სული ჩემი, რამეთუ წმიდა ვარ, აცხოვნე მონაი შენი, ღმერთო ჩემო, რომელი გესავს შენ. 3. მიწყალე მე, უფალო, რამეთუ შენდამი დაღად-ვყავ მარადღე. 4. ახარე სულსა მონისა შენისასა, რამეთუ

შენდამი აღვიღე სული ჩემი. 5. რამეთუ შენ, უფალი, ტკბილ და მართალ ხარ და დიდად მოწყალე ყოველთათვის, რომელნი გხადიან შენ. 6. ყურად-იღე, უფალო, ლოცვაი ჩემი და მოხედენ ხმასა ვედრებისა ჩემისასა. 7. დღესა ჭირისა ჩემისასა დაღად-ვეყავ შენდამი, რამეთუ ისმინე ჩემი. 8. არა არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო, და არა არს საქმეთა შენთაებრ. 9. ყოველი თესლები, რაოდენი ჰქმენ, მოვიდენ და თაყუანის-გცენ წინაშე შენსა, უფალო, და ადიდებდენ სახელსა შენსა. 10. რამეთუ დიდ ხარ შენ, და მოქმედი საკვირველებათაი შენ ხარ ღმერთი მხოლოი. 11. მიძლოდე მე, უფალო, გზათა შენთა, და ვიდოდი მე ჭეშმარიტებითა შენითა; იხარებდეს გული ჩემი შიშითა სახელისა შენისაითა. 12. აღვიარო შენ, უფალო ღმერთო ჩემო, ყოვლითა გულითა ჩემითა და ვადიდო სახელი შენი უკუნისამდე; 13. რამეთუ დიდ არს წყალობაი შენი ჩემ ზედა და იხსენ სული ჩემი ჯოჯოხეთისაგან ქუესკნელისა. 14. ღმერთო, უკსჯულონი აღსდგეს ჩემ ზედა, და კრებულმან ძლიერთამან იძიეს სული ჩემი და არა შეგრაცხეს შენ წინაშე მათსა. 15. და შენ, უფალო, ღმერთო ჩემო, შემწყნარებელ ხარ და მოწყალე, სულგრძელ და დიდად მოწყალე და ჭეშმარიტ. 16. მოიხილე ჩემ ზედა და შემიწყალე მე, მოეც ძალი მონასა შენსა და აცხოვნე მე მხევლისა შენისაი. 17. ჰყავ ჩემ თანა სასწაულ კეთილ, და იხილედ მოძულეთა ჩემთა და ჰრცხუნოდის, რამეთუ შენ, უფალი, შემეწიე მე და ნუგეშინის-მეც მე.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. აღილჷია, აღილჷია, აღილჷია, დიდება შენდა ღმერთო. აღილჷია, აღილჷია, აღილჷია, დიდება შენდა ღმერთო. აღილჷია, აღილჷია, აღილჷია, დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა.

უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

ტროპარი

დიღუმა აწ და

ღვთისმშობლისა

რომელი ჩვენთვის იშვე ქრისტე ქალწულისაგან, ჯვარცმა დაითმინე სახიერ, რომელმან სიკვდილითა სიკვდილი მოაკვდინე, და აღდგომა მოგვმადლე ვითარც ღმერთ ხარ, და ნუ უგულვებელჰყოფ, რომელი შექმნეს ხელთა შენთა, არამედ აჩვენე კაცთმოყვარებაი შენი მოწყალე, და მიიღე, რომელმან გზვა შენ ღვთისმშობელისაგან ვედრებაი ჩვენთვის, და აცხოვნე მაცხოვარო ჩვენო ერი განწირული.

ნუ მიმცემ ჩვენ სრულიად სახელისა შენისათვის უფალო, ნუ განაქარვებ აღთქმასა შენსა, და ნუ განაშორებ წყალობასა შენსა ჩვენგან, აბრაამისთვის საყვარელისა შენისა, ისააკ მონისა შენისა, და ისრაილ წმიდისა შენისა.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება, აწ და. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვიღებინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის)

დიდება. აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვთარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

მღვდელი: რამეთუ...

მედავითნე - ამინ.

კონდაკი

უფალო შეგვიწყალებ (40-ჯერ).

ლოცვა:

რომელი ყოველსა დღესა, და ყოველსა ჟამსა, მარადის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა თაყვანის-იცემები და იდიდები, ქრისტე ღმერთო, ცხოველო, სულ-გრძელო, და მრავალ მოწყალეო, რომელსა მართალი გიყვარს, და ცოდვილთა ჰსწყალობ, რომელმან ყოველთა გვიწოდე ცხოვრებად აღთქმითა მით ყოფადთა კეთილთა შენთათა, შენ უფალო, შეიწირე ლოცვაი ჩუენნი ჟამსა ამას, წარმართე ცხოვრებაი ჩუენნი მცნებათა შინა შენთა, სულნი ჩუენნი წმინდა-ჰყვენ, ხორცნი უბიწოდ, გონებანი განგვიწმიდენ, და გულის-სიტყვანი განგვიმართლენ, და გვიხსნენ ჩუენ ყოვლისაგან ჭირისა, ძვირთა და საღმობათაგან, და შეგვზღუდენ ჩუენ წმიდათა ანგელოსთა შენთა მიერ, რათა დაბანაკებითა მათითა დაცულნი

და ძღვანებულნი, მივიწინეთ ერთობასა სარწმუნოებისასა, და მეცნიერებასა უხილავისა დიდებისა შენისასა, რამეთუ კურთხეულ-ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის)

დიდება. აწ და.

უპატოსნესსა ქერუბიმთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთის-მშობელსა გალობით გადიდებდეთ.

სახელითა უფლისათა მამაო გვაკურთხენ.

მღვდელი:- *ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა..*

მედავითნე - ამინ.

მეუფეო უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელიც სულგრძელებ ჩვენ ცოდვილთა ზედა, რომელმან ვიდრე ამაღლდით მომიყვანენ ჩვენ, რომელმან ცხოველსმყოფელსა ჯვარსა დამოკიდებითა კეთილგონიერსა ავაზაკსა სამოთხეს შესვლად გზაი უყავ, და სიკვდილითა სიკვდილი დახსენ, მილხინენ ჩვენ ცოდვილთა და უღირსთა მონათა შენტა, რამეთუ ვიუსჯულოეთ და არა ღირს ვართ ახილვად თვალთა, და ხილვად სიმაღლედ მიმართ ცისად, რამეთუ დაუტევეთ გზაი სიმაღლისა შენისა, და ვიდოდით ნებათა შინა გულისა ჩვენისათა. არამედ ვევედრებით ურიცხვსა სახიერებასა შენსა, მრიდენ ჩვენ უფალო სიმრავლისათვის წყალობისა შენისა, და მაცხოვრენ ჩვენ სახელისა შენისათვის წმიდისა, რომელ მოაკლდეს ამაოებით დღენი ჩვენნი. განმარინენ ჩვენ წინააღმდომთა ხელთაგან და მომიტევენ ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი, და მოაკვდინენ ხორციელნი ვნებანი ჩვენნი, რათა ძველისა კაცისა განმძარცველთა ახალი შევიმოსოთ, და შენდა ცხოველ ვიყვნეთ მეუფისა და მზრუნველისა ჩვენისა, და ესრეთ შემდგომითნი ბრძანებათა შენთა, საუკუნოდ განსვენებად მივიწინეთ, სადა იგი არს მკვიდრობა ყოველთა შენდამი მოხარულთა, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი სიხარული და მხიარულება მოყვარეთა შენთა ქრისტე ღმერთო ჩვენო, და შენდა დიდებასა აღვავლენთ, თანადაუსაბამოთ მამით, და ყოვლად წმიდით, სახიერით, და ცხოველსმყოფელით სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.